

ომის პარადოქსები

“საერთო გაზეთი” – 4 მარტი, № 4, 2009.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი იმდენად მძიმე ფაზაში შევიდა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ის, შესაძლებელია, პოლიტიკურ კრიზისშიც გადაიზარდოს. ხალხის უკმაყოფილება დღითი დღე ძლიერდება, თუმცა, მათი მოთხოვნა ჯერ-ჯერობით მხოლოდ სოციალური საკითხების მოგვარებით შემოიფარგლება.

თუ ამ ქვეყნებს ჩვენს ქვეყანას შევადარებთ, საკითხი აქ განსხვავებულია. საქართველოში ღირსების შელახვისა და არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ მრავალათასიანი მიტინგი შეიძლება ჩატარდეს, მაგრამ მძიმე რეალური მდგომარეობის გაუმჯობესების, უმუშევრობის წინააღმდეგ მიტინგი ან რაიმე სახის პროტესტი – დღემდე არ დაფიქსირებულა. ეს არის ზუსტად ის მენტალიტეტი, რომელიც დღეს ქართველ კაცს გააჩნია. მითუმეტეს, რომ არც რომელიმე ოპოზიციური პარტია თუ ლიდერი მათ არ მოუწოდებს ყურადღების გამახვილებას ამ საკითხის ირგვლივ. ფასები კი იზრდება კატასტროფულად.

გესაუბრებით ეკონომიკის ექსპერტს, პროფესორ ლადო კაპაშას.

– ბატონო ლადო, რა ტიპის ეკონომიკური კრიზისია დღეს საქართველოში?

– ჩვენთვის ძალიან ძნელია ეკონომიკური კრიზისის მხოლოდ ერთი კუთხით შეფასება, ვინაიდან ერთმანეთზეა გადაჯაჭვული რამოდენიმე ფენა სხვადასხვა მიზეზისა, რამაც გამოიწვია კრიზისი. ალბათ, პირველი და მთავარი არის შიდა მიზეზები, რომლებიც ადრე თუ გვიან ამ კრიზისამდე მაინც მიიყვანდა ქვეყანას, უბრალოდ, გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთის აგრესიამ, ეს ყველაფერი დააჩქარა. შიდა მიზეზებზე როცა ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ისეთი რამ, როგორც იყო ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური სამეწარმეო გარემო, რეკეტის ქვეშ იყო კერძო ბიზნესი, იყო შემოსავლების შეწერა, თუნდაც არჩევნების დროს, ასევე საკუთრების დათმობა და სხვ. ყოველივე ამან შექმნა არასტაბილური გარემო, რასაც დაემატა ის, რომ ბანკები ევროპულ ბაზრებზე შედარებით, იაფ სესხებს იღებდნენ და ეს სესხები ძირითადად

განთავსდა მშენებლობასა და სამომხმარებლო სექტორში. უცხოური საყოფაცხოვრებო ტექნიკის დაკრედიტება ნიშნავს ისევ უცხოური ფირმების დაკრედიტებას, რაც, პრაქტიკულად, ქართულ ეკონომიკას არაფერს არ მატებდა; სხვაა მშენებლობა, რომლის წარმოებისათვის საჭიროა ბევრი ის სამშენებლო მასალა, რომელიც აქ მოიპოვებოდა და მისი წარმოებაც აქ ხდებოდა. მაგრამ აქაც შეუსაბამობა იყო, ანუ ხელოვნური ბუმი შეიქმნა, ვინაიდან საკრედიტო რესურსი, რომელიც ემსახურებოდა მშენებლობას, ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე ეკონომიკა გასწვდებოდა ამას, ანუ საკრედიტო რესურსის მოცულობამ გაასწრო ქართული ეკონომიკის შესაძლებლობებს. ამით იმისი თქმა მინდა, რომ ადრე თუ გვიან ეს შეუსაბამობა ეკონომიკურ კრიზისს ისედაც გამოიწვევდა.

შემდეგ ეს კრიზისი დაახქარა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, ვინაიდან ევროპულ ბაზრებზე იაფი ფული აღარ იყო და ჩვენს ბანკებს უკვე აღარ შეეძლოთ იაფი სესხის აღება, ფული იყო მხოლოდ მაღალ პროცენტში. ყოველივე ამან გამოიწვია კრედიტის გაძვირება, ხოლო ბანკებს დაუგროვდა საგარეო დავალიანება. მარტო წელს გაზაფხულზე კომერციულ ბანკებს საგარეო ვალი გადასახდელი აქვთ ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობით. ეს არის ვალი უცხოური საფინანსო კომპანიების მიმართ.

საქართველოში კრედიტის გადამხდელთა რიცხვი შემცირდა იმიტომ, რომ მთელი ეს კრედიტები ემსახურებოდა არა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, არამედ ისევ იმპორტის დაფინანსებას. ანუ რეალურმა სექტორმა ვერ შექმნა საქართველოში ის დოვლათი, რომელსაც უნდა უნზრუნველყო ეკონომიკის ზრდა. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა ეს საქმე გაართულა, მას ასევე დაემატა აგვისტოს მოვლენები, რუსეთის აგრესია.

– დიახ, მაგრამ სწორედ ისევ რუსულმა აგრესიამ გამოიწვია ის, რომ საქართველოს სწორედ ამ ომის გამო საკმაოდ დახმარება მიეცა...

– მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო საინვესტიციო რესურსი შემცირდა, მაგრამ ვინაიდან საქართველო მოჰყვა რუსული აგრესიის ქვეშ, ფაქტობრივად, დაკარგა საინვესტიციო „მიმზიდველობა“, იმედია დროებით, მაგრამ მაინც დაკარგა. ამ ეტაპზე ინვესტიციები ნაკლებად შემოდის. აქედან გამომდინარე, ნაკლებად შემოდის უცხოური ვალუტა, ამას ემატება ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც უცხოეთში არიან, მაგრამ ვეღარ ახერხებენ სტაბილური სამუშაოს შოვნას და ფულის იმავე ოდენობით გამოგზავნას

ოჯახში დახმარებისათვის, რასაც კრიზისამდე ახერხებდნენ. აქედან გამომდინარე, როდესაც უცხოური ვალუტა მცირდება, ლარის გაუფასურების საფრთხე იქმნება, ანუ მისი დევალვაციის საკითხი დგება დღის წესრიგში. თუ ის ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გაუფასურებული, ეს არის ეროვნული ბანკის რეზერვების ხარჯვით გამოწვეული. რუსეთის აგრესიის დროს მოხდა დეპოზიტების გატანა, რამაც ასევე დააზარალა ბანკები. ერთი თვის შემდეგ ამ გატანილი თანხების მხოლოდ ოცდაათი პროცენტი დაბრუნდა ბანკებში, რის გამოც ისინი საკრედიტო რესურსის დეფიციტის პირობებში აღმოჩნდნენ. ამ ვითარებაში, ეროვნულმა ბანკმა განახორციელა რეფინანსირების ოპერაციები, შედარებით იაფი სესხის მიცემა კომერციული ბანკებისთვის, რათა ისინი არ გაკოტრებულიყვნენ. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ ფულის მასა გაიზარდა, ანუ მოხდა ინფლაცია. კარგია თუ ცუდია ეს? რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ ეროვნულმა ბანკმა ამ შემთხვევაში გააკეთა არჩევანი ცუდსა და უარესს შორის. ეს რომ ასე არ გაეკეთებინა, მოხდებოდა საბანკო კრიზისი, რაც საბოლოო ჯამში, დიდ პანიკას გამოიწვევდა და მთელ ეკონომიკას დაანგრევდა. ამით ეროვნულმა ბანკმა გადაარჩინა საბანკო სისტემა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოს აქვს ისეთი ფინანსური ხარჯები, რომლებიც საბოლოო ჯამში უკან არ ამოიღება. კერძოდ, ასეთ ხარჯებს განეკუთვნება ლტოლვილების ბინების მშენებლობა-დაბინავება. ყოველივე ეს სამომხმარებლო ბაზარზე ფულის მასას ზრდის.

ობიექტურად თუ ვიტყვით, საქართველოში მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, თუნდაც ევროპაში, რასაც აქვს ახსნა. ამას მე ვეძახი – „ომის პარადოქსს“ – აგვისტოს ომმა, რა თქმა უნდა, ბევრი ცუდი მოგვიტანა, მაგრამ მას ჰქონდა ერთი „დადებითი“, რომ არა ეს ომი, არავინ არ შეიკრიბებოდა შემოდგომაზე ბრიუსელში და საქართველოს ამ გლობალური კრიზისის პირობებში არავინ არ გამოუყოფდა 4,5 მილიარდ დოლარს, რომელიც საქართველოს გამოეყო კრედიტებისა და გრანტების სახით და აქ შემოვა 2010 წლის ბოლომდე. ეს არის ამ ომის პარადოქსი! იმიტომ არის ბევრი სხვა ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში, რომ მათ ასეთი დახმარება არ მიუღიათ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის 800 მილიონიანი დახმარება, რომელიც კომერციული ბანკებისათვის არის ამ თანხიდან გამოყოფილი, რაც საბოლოო ჯამში, საკმარისია იმისათვის, რომ საბანკო სისტემამ შეინარჩუნოს მდგრადობა.

- რატომ არის ინფლაცია?

- ფულს მასაა მიმოქცევაში გაზრდილი და მთავრობას აქვს ისეთი ხარჯები, რომელიც ინფლაციის ზრდას უწყობს ხელს.

- ფასების ზრდაზე გამახსენდა, წელს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასური გაიზარდა, რას გამოიწვევს ყოველივე ეს?

- ეს იმას გამოიწვევს, რომ ყველა ვერ ისწავლის, ცუდი ამ შემთხვევაში ის არის, რომ ასეთ კატეგორიაში არ მოხვდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც მხოლოდ ფინანსების გამო ვერ ისწავლიან. საჭიროა სახელმწიფომ საშუალო სკოლაში გამოავლინოს ასეთი მოსწავლეები და მათ სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე შეძლონ სწავლა. რაც შეეხება ბევრ კომერციულ უმაღლეს სასწავლებელს, თუ იქ აბიტურიენტთა რიცხვი მოიკლებს, ფასი აუცილებლად დაეცემა. ყველაზე ცუდი ასეთ სასწავლებლებში ის გახლავთ, რომ უმეტეს შემთხვევაში გაზრდილი საფასური მიღის სასწავლებლის მეპატრონისა თუ ადმინისტრაციის ჯიბეში და არა პროფესორ-მასწავლებლების ხელფასში.

- ბოლო დროს წამლებზე ფასები გაორმაგდა, ფაქტობრივად, „ავერსმა“ და „პე-ეს-პემ“ შექმნეს მონოპოლია, რის გამოც, ძალიან ბევრი მოქალაქე მალე უწამლოდ დარჩება, ამ ეკონომიკური გაჭირვების დროს, რამდენად მორალური საქციელია მათი მხრიდან და რამდენად მომგებიანი ეკონომიკურად?

- ეს პრობლემა მარტო „პეესპესა“ და „ავერსს“ არ ეხება, განა ნავთობპროდუქტებზე არ არის იგივე პრობლემა? საკითხი უფრო რთულად არის და მას ჰქვია – ბაზრის მონოპოლიზაცია. 2004 წელს კახა ბენდუქიძის მოთხოვნით ქვეყანაში გაუქმდა ანტიმონოპოლური სამსახური, რომელსაც უნდა გაეკონტროლებინა ეს სფერო, რათა რაც შეიძლება მეტი აგენტი ყოფილიყო ბაზარზე და არა თითო-ოროლა. ამ შემთხვევაში ისინი ერთმანეთს გაუწევდნენ კონკურენციას და ფასების ზრდა არ მოხდებოდა.

სამწუხაროდ, ბენდუქიძის ეს ინიციატივა მხარდაჭერილი იქნა ხელისუფლების მიერ. ყველაზე კურიოზული კი იყო 2007 წლის ოქტომბერი, როდესაც პრეზიდენტმა ანტიმონოპოლიური რეგულირების ფუნქციები მარილისა და შაქრის ბაზარზე დაავალა შინაგან საქმეთა მინისტრს, შემდგომში მას ეს ფუნქციები არ განუხორციელებია 7 ნოემბერის ცნობილ მოვლენათა გამო, მაგრამ ეს იყო პრეცედენტი. დღეს კი ამ მხრივ არის სრული ვაკუუმი, არ არსებობს ანტიმონოპოლიური სამსახური. რაც შეეხება

ფარმაცევტულ ბაზარს, აქ უნდა იყოს სპეციალური ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა არა ზოგადი, არამედ სპეციალური, რადგანაც ეს განსაკუთრებული სეგმენტია, რომელიც ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება და ეს უნდა რეგულირდებოდეს სპეციალური კანონით – წამლის შესახებ. ასევე, ჯანდაცვის სისტემაში უნდა არსებობდეს სპეციალური სამსახური, რომელიც ამას გაუწევს კონტროლს მედიკამენტების ბაზარზე, თორემ დღეს მოხდება ასეთი რამ, ბაზარი დაყოფილი აქვს ძირითადად 3 კომპანიას – „ავერსს“ „პეესპესა“ და „ჯიპისის“, რომლებიც მოქმედებენ ურთიერთშეთანხმებულად და ამის დამარეგულირებელი არანაირი სახელმწიფო მექანიზმი არ არსებობს. სამწუხაროდ, არც იმის პოლიტიკური ნება არსებობს, რომ ასეთი რამ მოხდეს. ეს იქიდან ჩანს, რომ სულ ახლახან, 12 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი გამოვიდა მოსხენებით პარლამენტში და როცა მის წინაშე ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნის შესახებ შენიშვნები გააკეთა საპარლამენტო ოპოზიციამ, მაშინ სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლებმა, ერთმნიშვნელოვნად უპასუხეს – რომ არანაირი ანტიმონოპოლიური სამსახური ქვაყანაში შემოღებული არ იქნება!

ანუ მთავრობას აწყობს ბაზრის მაღალი მონოპოლიზაცია, ხოლო ასეთ შემთხვევაში ზარალდება მომხმარებელი. ის რომ ასეთი სამსახური არ შეიქმნება, დაადასტურეს თავისი კომენტარებით ცისკარიშვილმა და გაბაშვილმაც.

– ბაზარზე ფასი დააკლდა ასევე ფქვილს, თითქმის განახევრდა, მაგრამ პურის ფასი მაინც კვლავ გაზრდილი დარჩა, არც ეს არ უნდა გააკონტროლოს სახელმწიფომ?

– თუ ბაზარზე იქნება კონკურენცია, ფასები დაიკლებს, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ არც ერთი მეწარმე არ არის კეთილშობილი სანტაკლაუსი. ასევე, ბაზარი ყველაფერს ვერ დაარეგულირებს, თუ იქ იქნება მონოპოლიზაცია. სწორედ ამიტომ არის სახელმწიფოს ჩარევა საჭირო ამ საქმეში, რომ ეს არ მოხდეს. ამის კანონმდებლობა კი ჩვენ არ გვაქვს – საუბედუროდ.

– სახელმწიფომ, მოსახლეობას შესთავაზა სამედიცინო სადაზღვევო სისტემა, რამდენად განხორციელებადია ეს შემოთავაზება?

– თავად იდეა კარგია, მთავარია, რამდენად ეფექტიანად განხორციელდება იგი, სხვა საკითხია.

– რამდენია ამჟამად საარსებო მინიმუმი საქართველოში?

– დღეს საარსებო მინიმუმი 1 სულზე საქართველოში ითვლება 115 ლარი, თუმცა მიმაჩნია, რომ ეს ციფრი საკმაოდ შემცირებულია, სინამდვილეში, ალბათ, უფრო მეტი უნდა იყოს. როდესაც პენსია 85 ლარია და საარსებო მინიმუმი თუნდაც 115 ლარი, ეს უკვე დარღვევაა. სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა იზრუნოს იმაზე, რომ არ არსებობდეს ქვეყანაში ისეთი ფენა, რომელსაც შემოსავალი ექნება საარსებო მინიმუმზე დაბალი, ხოლო ეს საარსებო მინიმუმი რეალურად უნდა დაითვალოს.

– შეიძლება თუ არა ეკონომიკური მდგომარეობა უფრო გაუარესდეს?

– თუ მთავრობას ექნება გაცნობიერებული ის, რომ ამ კრიზისს აქვს რეალური ფესვები, მაშინ მე უფრო ოპტიმისტურად ვიქნებოდი განწყობილი, მაგრამ როდესაც აცხადებენ, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისით არის ყველაფერი გამოწვეული, ეს დიდი ოპტიმიზმის საფუძველს არ მაძლევს. სიმართლე ის გახლავთ, რომ ქვეყანას ამის გარეშეც თავად აქვს საკუთარი წარმომავლობის კრიზისი, რასაც მთელი რიგი ობიექტური მიზეზები განაპირობებენ. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ ომი, რომელიც გადავიტანეთ, ქვეყნისათვის ძალიან ცუდია, მაგრამ სწორედ ამის გამო მივიღეთ საერთაშორისო დახმარება, რომელიც ამ კრიზისიდან გამოიყვანს ქვეყანას და აღარ მივიღებთ ეკონომიკურ კატასტროფას. ასე რომ, მედალს ორი მხარე აქვს – ამ ცუდმა ომმა გადაგვარჩინა და გვიხსნა ეკონომიკური კატასტროფისაგან.

– დაბოლოს, ბატონო ლადო, თქვენ როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა საქართველოში ეკონომიკური კრიზისი გადაიზარდოს პოლიტიკურ კრიზისში, როგორც ეს არაერთ ქვეყანაში მომხდარა?

– მე არ ვფიქრობ, რომ საქართველოში მწვავე პოლიტიკური კრიზისის ნიშნები იყოს. ოპოზიციის მხრიდან უბრალოდ მუქარებია მხოლოდ. აქ მთავარია როგორი იქნება ხალხის რეაგირება ამ მუქარებზე, თუ მასობრივი რეაგირება არ იქნება, მხოლოდ მუქარა არაფერს არ დაძაბავს.

დღეს, როდესაც ოპოზიცია ხელისუფლებას უკიჟინებს წაგებული ომისა თუ სხვა პოლიტიკურ საკითხებზე, მთავრობა ამას პასუხობს ერთმნიშვნელოვნად – ლაპარაკობს ეკონომიკურ კრიზისზე – ანუ ამ ჭრილში თავად გადააქვთ დიალოგი. უნდა გვახსოვდეს, რომ არჩევნების დროს ხალხმა ხომ გაყიდა ხმები და “30 ვერცხლად” ხმა ნაციონალებს მისცა, ისინი ეხლაც ასე მოიქცევიან და ამით გაყიდიან ქვეყნის

კეთილდღეობას, გაყიდვან საკუთარი შვილების მომავალს. ვფიქრობ, ასეთი ხალხი კვლავ მზადაა არჩევნებისათვის, კვლავ გაყიდოს ხმები და არჩევნების შემდეგ კვლავ დაიწყოს ხელისუფლების ღანძღვა. ეს სამწუხარო რეალობაა.

ეთერ კასრელიშვილი